

**TRANSFORMATION OF THE MEDEA MYTH ACROSS TIME AND SPACE:
CHALLENGES OF EUROPEAN LITERATURE**

მედეას მითის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში: ევროპული ლიტერატურის
გამოწვევები

Tatia Davitadze

Doctor of Philology

Guest Senior Lecturer, Batumi Shota Rustaveli State University,
35/32 Rustaveli/Ninoshvili St., 6010, Batumi, Georgia,
+995 571 09 13 10, tatia.davitadze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

Abstract. The present paper explores the evolution of the archaic myth of Medea and the Argonauts, focusing on its interpretative diversity within the European literary landscape. The study aims to demonstrate how the figure of Medea transcends temporal and cultural boundaries, adapting to the intellectual challenges of various eras—from Classicism to Postmodernism. The research analyzes the works of three pivotal authors who present Medea's persona in fundamentally different contexts.

The first part of the study examines Pierre Corneille's *Medea*, where the character is portrayed through the lens of Classical principles as a rational being capable of profound self-reflection. The author emphasizes Jason's political pragmatism and cynicism, which adds a dimension of defending personal dignity to Medea's tragedy. The second part is dedicated to Jean Anouilh's existentialist drama, in which Medea serves as a symbol of absolute freedom and the rejection of compromise. Here, she stands in opposition to a society enslaved by the pursuit of "bread" and material well-being. The third part analyzes Christa Wolf's *Medea: Voices*, offering a postmodern, feminist, and postcolonial reinterpretation. In Wolf's narrative, Medea is not a child-killing sorceress, but rather a victim of social intrigue and "otherness," representing a modern, humanistic rehabilitation of the myth.

The study concludes that Medea's transformation across time and space is driven not only by literary trends but also by socio-political contexts. In contemporary European texts, Medea represents a complex archetype that transcends personal revenge, gaining global significance as a manifesto for the struggle against gender inequality, cultural identity issues, and the pursuit of individual liberty. She remains an eternal figure "beyond time and borders," constantly responding to the pressing challenges of modernity.

Keywords: Medea myth, Transformation, European literature, Existentialism, Feminism, Cultural identity, Reinterpretation.

თათია დავითაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

მოწვეული უფროსი მასწავლებელი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო,

+995 571 09 13 10, tatia.davitadze@bsu.edu.ge

<https://orcid.org/0009-0007-7888-719X>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მედეასა და არგონავტების არქაული მითის ევოლუცია და მისი ინტერპრეტაციული მრავალფეროვნება ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში. კვლევის მიზანია წარმოაჩინოს, თუ როგორ ლახავს მედეას სახე დროსა და კულტურულ საზღვრებს და როგორ ერგება იგი სხვადასხვა ეპოქის ინტელექტუალურ გამოწვევებს — კლასიციზმიდან პოსტმოდერნიზმამდე. ნაშრომში გაანალიზებულია სამი საკვანძო ავტორის შემოქმედება, რომლებმაც მედეას სახე სრულიად განსხვავებულ კონტექსტში წარმოადგინეს.

კვლევის პირველ ნაწილში განხილულია პიერ კორნელის „მედეა“, სადაც პერსონაჟი კლასიციზმის პრინციპების ჭრილში, რაციონალურად მოქმედ, თვითრეფლექსიის უნარის მქონე პიროვნებად გვევლინება. ავტორი აქცენტს აკეთებს იასონის პოლიტიკურ პრაგმატიზმსა და ცინიზმზე, რაც მედეას ტრაგედიას პიროვნული ღირსების დაცვის განზომილებას სძენს. ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ჟან ანუის ეგზისტენციალისტურ დრამას, რომელშიც მედეა აბსოლუტური თავისუფლებისა და კომპრომისებზე უარის თქმის სიმბოლოა. აქ მედეა უპირისპირდება „პურისა“ და კეთილდღეობის სანაცვლოდ მონობაში მყოფ საზოგადოებას. მესამე ნაწილში კი გაანალიზებულია კრისტა ვოლფის „მედეა - ხმები“, რომელიც მითის პოსტმოდერნისტულ, ფემინისტურ და პოსტკოლონიურ რეინტერპრეტაციას გვთავაზობს. ვოლფთან მედეა არა შვილების მკვლელი ჯადოქარი, არამედ საზოგადოებრივი ინტრიგებისა და „უცხოობის“ მსხვერპლია, რაც მითის სრულიად ახლებურ, ჰუმანისტურ რეაბილიტაციას წარმოადგენს.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ მედეას ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში განპირობებულია არა მხოლოდ ლიტერატურული ტენდენციებით, არამედ სოციო-პოლიტიკური კონტექსტებით. მედეას სახე თანამედროვე ევროპულ ტექსტებში წარმოადგენს კომპლექსურ არქეტიპს, რომელიც სცილდება პირადი შურისძიების ფარგლებს და იძენს გლობალურ მნიშვნელობას, როგორც გენდერული უთანასწორობის, კულტურული იდენტობისა და პიროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის მანიფესტი. იგი რჩება „დროისა და საზღვრების გარეშე“ არსებულ მარადიულ სახედ, რომელიც მუდმივად პასუხობს თანამედროვეობის აქტუალურ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: მედეას მითი, ტრანსფორმაცია, ევროპული ლიტერატურა, ეგზისტენციალიზმი, ფემინიზმი, კულტურული იდენტობა, რეინტერპრეტაცია.

შესავალი. მედეასა და არგონავტების არქაული მითი კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე მრავალშრიანი და „მოქნილი“ ნარატივია, რომელმაც ათასწლეულებს გაუძლო. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, მედეას სახე მუდმივად განიცდიდა ტრანსფორმაციას, თუმცა თანამედროვე ევროპულ ლიტერატურაში ამ პროცესმა სრულიად ახალი, რადიკალურად განსხვავებული მასშტაბები შეიძინა. მითის სიუჟეტი მნიშვნელოვნად გადასხვაფერდა და მოერგო ახალ ტენდენციებს, რაშიც, პირველ ყოვლისა, იგულისხმება არქაული სიუჟეტის ფემინისტური გადააზრება, პოსტკოლონიური პერსპექტივა, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი და სოციალური კრიტიკა.

მედეა თანამედროვე ევროპულ ტექსტებში აღარ არის მხოლოდ „კოლხი ჯადოქარი“ ან „შურისმაძიებელი ცოლი“; იგი კომპლექსური პერსონაჟია, რომლის ქმედებები განპირობებულია სოციალური და პოლიტიკური ნიშნით. იგი აბსოლუტური თავისუფლების მძებნელი პიროვნებაა, რომელიც მუდმივად განიცდის შინაგან ბრძოლას ვნებასა და მოვალეობას შორის. ევროპელი ავტორების შემოქმედება (პიერ კორნელი, ჟან ანუი, კრისტა ვოლფი) განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ისინი მედეას მითის აღწერისას იყენებენ იმ ეპოქის მთავარ იდეებსა და გამოწვევებს, რომლებიც მათ მოღვაწეობას ემთხვევა.

წინამდებარე სტატიის კვლევის საგანს წარმოადგენს მედეას სახის ევოლუცია სამ განსხვავებულ ლიტერატურულ ეპოქაში:

- კლასიციზმის პერიოდში, სადაც პიერ კორნელი პერსონაჟს რაციონალიზმისა და თვითრეფლექსიის ჭრილში წარმოგვიდგენს;
- მე-20 საუკუნის შუა წლებში, როდესაც ჟან ანუი ეგზისტენციალისტურ და „აბსურდის“ თეორიის კონტექსტში მედეას თავისუფლების სიმბოლოდ აქცევს;
- პოსტმოდერნისტულ ხანაში, სადაც კრისტა ვოლფი ფემინისტური და პოსტკოლონიური ხედვით ახდენს მედეას სრულ რეაბილიტაციას.

ამგვარად, მედეას პერსონაჟის მრავალშრიანი ინტერპრეტაცია ევროპულ ლიტერატურაში არ არის მხოლოდ ძველი მითის გაცოცხლების მცდელობა; ეს არის მეცნიერული და შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ამტკიცებს, რომ კულტურული არქეტიპები დროსა და საზღვრებს მიღმა არსებობენ და ყოველთვის პოულობენ გზას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გამოსახატად.

მეთოდები. ნაშრომში დასახული მიზნების მისაღწევად და მედეას მითის ტრანსფორმაციის დინამიკის გამოსაკვლევად გამოყენებულია კომპლექსური მეცნიერული მიდგომა, რომელიც რამდენიმე ურთიერთმევესებად მეთოდს ეფუძნება. კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს შედარებით-ისტორიული (კომპარატივისტული) მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება მედეას სახის შეპირისპირება სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის კონტექსტში; კერძოდ, პიერ კორნელის, ჟან ანუისა და კრისტა ვოლფის ტექსტების მაგალითზე ვლინდება მითის ევოლუციის კანონზომიერებები. ამ პროცესს ავსებს მითოკრიტიკული და არქეტიპული ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ როგორ ინარჩუნებს პერსონაჟი თავის მითოლოგიურ ბირთვს ცვალებადი ლიტერატურული პარადიგმების პირობებში. ტექსტების სიღრმისეული გააზრებისთვის გამოყენებულია ჰერმენევტიკული მიდგომა, რომელიც ავტორთა მიერ ჩადებული ფარული სიმბოლოებისა და მეტაფორების ამოცნობას ემსახურება, ხოლო კრისტა ვოლფის შემოქმედების განხილვისას კვლევა ეყრდნობა ფემინისტური და პოსტკოლონიური კრიტიკის პრინციპებს, რაც აქცენტს გენდერულ ასპექტებსა და „სხვის“ (The Other) ფენომენზე აკეთებს. საბოლოოდ, პირველწყაროების დეტალური ტექსტუალური ანალიზი უზრუნველყოფს პერსონაჟთა დიალოგებისა და მონოლოგების ფილოლოგიურ შესწავლას, რაც ერთობლიობაში ქმნის მყარ საფუძველს მედეას მითის,

როგორც ცოცხალი და მუდმივად განახლებადი ლიტერატურული პროცესის, წარმოსაჩენად.

შედეგები და მსჯელობა. მედეას მითის ევროპული რეინტერპრეტაციების კომპლექსური ანალიზი ცხადყოფს, რომ მოცემული მითოლოგიური არქეტიპი არ წარმოადგენს სტატიკურ ლიტერატურულ მოცემულობას; პირიქით, ყოველი ეპოქის ავტორი მითოლოგიურ სიუჟეტს იყენებს როგორც მძლავრ ინსტრუმენტს თავისი დროის კრიზისების, სოციალური რყევებისა და ფილოსოფიური ღირებულებების გამოსახატად. მედეას სახე დროსა და სივრცეში ტრანსფორმირდება იმ ინტელექტუალური პარადიგმების შესაბამისად, რომლებიც დომინირებს კონკრეტულ ისტორიულ მომენტში: თუ პიერ კორნელის ეპოქაში აქცენტი კეთდებოდა პიროვნულ ღირსებაზე, რაციონალურ არჩევანსა და კლასიკური ტრაგედიის მკაცრ ჩარჩოებზე, ჟან ანუი მითს მეოცე საუკუნის ეგზისტენციალური შფოთვისა და აბსურდის განზომილებაში გადაისვრის, სადაც მედეა სისტემის წინააღმდეგ ამხედრებული ინდივიდის სახედ გვევლინება. თავის მხრივ, კრისტა ვოლფი პოსტმოდერნისტული პერსპექტივიდან ახდენს მითის დეკონსტრუქციას, სადაც მედეას ისტორია ხდება პლატფორმა გენდერული პოლიტიკის, პოსტკოლონიური „უცხოობისა“ და ძალაუფლების სტრუქტურების კრიტიკისთვის. ამგვარად, მითის ტრანსფორმაცია დროსა და სივრცეში არის არა მხოლოდ ლიტერატურული ევოლუციის პროცესი, არამედ ევროპული ცნობიერების თვითრეფლექსია, რომელიც მედეას სახის მეშვეობით ცდილობს პასუხი გასცეს მარადიულ კითხვებს თავისუფლების, სამართლიანობისა და იდენტობის შესახებ.

რაციონალური შურისძიება და კლასიკური ერთიანობა (პიერ კორნელი) - პიერ კორნელის „მედეა“ წარმოადგენს მითის კლასიციკურ ტრანსფორმაციას, სადაც არქაული სიუჟეტი მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგული დრამატურგიის მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. ავტორი ზედმიწევნით იცავს „სამი ერთიანობის“ პრინციპს, რაც მოქმედების ერთ ადგილას (კორინთო), ერთი დღის განმავლობაში განვითარებას გულისხმობს. კორნელიმ მნიშვნელოვნად შეამჭიდროვა მითოლოგიური ქრონოტოპი, რათა მთელი დრამატული დამაბულობა 24 საათში მოექცია. საინტერესოა, რომ იგი პირველი ავტორია, რომელმაც გააუქმა ანტიკური ტრაგედიის აუცილებელი ატრიბუტი — ქორო, და აქცენტი მთლიანად პერსონაჟთა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიასა და მათ რაციონალურ არჩევანზე გადაიტანა.

კორნელისეული ინოვაცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა იასონის პერსონაჟის უკიდურეს დეგრადაციაში. აქ იასონი გვევლინება არა როგორც მითიური გმირი, არამედ როგორც პოლიტიკური პრაგმატიზმისა და პირადი ამბიციების მსხვერპლი. მისი ცინიზმი პიკს აღწევს, როდესაც იგი საკუთარ ღალატს მედეასთან წარსულში მყოფი სხვა ქალების (მაგალითად, ჰიფსიპილეს) ბედს ადარებს და მიიჩნევს, რომ მედეაც ისევე უნდა „დამშვიდდეს“, როგორც სხვები: „მედეასაც შეუძლია, უბედურებას იმავეთი უპასუხოს: იკვნესოს, იტიროს, ორგული მეძახოს; მე მას სინანულით ვტოვებ, მაგრამ ვერაფერს ვუხერხებ უფრო დიდ ძალას, რომელიც კრეუსასკენ მიმაქანებს“ (ბერძენიშვილი, 2022: 293).

ავტორი ხაზს უსვამს, რომ იასონი მხოლოდ მედეას კი არა, საკუთარ თავსაც ატყუებს, რაც მის შინაგან გაორებაში ვლინდება. იგი ცდილობს მორალური გამართლება მოუძებნოს თავის მზაკვრობას და ამისთვის „მამობრივ ინსტინქტს“ იყენებს. კორნელისთან იასონი აცხადებს: „მამობრივი სიყვარულის ნაზმა გრძნობამ ჩემი შვილების გადასარჩენად დამნაშავე გამხადა, თუ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს უბედური გაყრა, რასაც მათზე ზრუნვა მაიძულებს“ (ბერძენიშვილი, 2022: 323). ეს სიტყვები კიდევ უფრო ამძაფრებს მის უარყოფით სახეს, რადგან მკითხველი ხედავს, რომ შვილების ბედი მისთვის მხოლოდ თავის მართლების საშუალებაა.

თავის მხრივ, მედეა კორნელისთან, ჯადოქრობასთან ერთად, ფლობს ღრმა თვითრეფლექსიის უნარს. იგი აცნობიერებს თავის ღვთაებრივ წარმომავლობას და

შურისძიებას აღიქვამს არა როგორც ბრმა ვნებას, არამედ როგორც შელახული ღირსების აღდგენას. მისი მონოლოგები, რომლებიც ალექსანდრიული ლექსით (თორმეტმარცვლიანი სტრიქონებით) არის დაწერილი, პერსონაჟის მრისხანე დიდებულებას უსვამს ხაზს. იგი მზეს, თავის წინაპარს, დახმარებას სთხოვს, რათა კორინთოსი ცეცხლში გახვიოს: „მინდა, დავეცე კორინთოსს შენი ცეცხლოვანი ეტლით... ჩემი სამართლიანი მრისხანებისგან შობილი დაუნდობელი სურვილი მის სამულველ კედლებს ცეცხლში გაახვევს“ (ბერძენიშვილი, 2022: 301).

კორნელის დრამაში განსაკუთრებით საინტერესოა კრეუსას პერსონაჟის გააქტიურება, რომელიც სხვა ვერსიებში ხშირად პასიურია. აქ კრეუსა მოქმედი პირია, რომლის სიხარბე და ამბიციაც მედეას შურისძიების მთავარი იარაღი ხდება. კრეუსას სურვილი, დაეუფლოს მედეას ჯადოსნურ კაბას, მის ფატალურ შეცდომად იქცევა: „...და თქვენ ცოტათი უნდა იქვიანოთ მასზე, რადგან მე ეს მომინდა, ისევე როგორც თქვენ... ოღონდ ეს კაბა და იასონი იყოს ჩემი“ (ბერძენიშვილი, 2022: 314). მედეა ოსტატურად იყენებს მეტოქის ამ სისუსტეს და კაბას ისე მოაჯადოებს, რომ იგი მხოლოდ კრეუსასთვის ხდება მომაკვდინებელი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს მედეას დამოკიდებულება დედობისადმი კორნელისეულ ინტერპრეტაციაში. ავტორი გარკვეულწილად აკნინებს მედეას დედობრივ ინსტინქტს, რადგან პერსონაჟი მიიჩნევს, რომ ბავშვები უფრო მეტად იასონის ნაწილნი არიან, ვიდრე მისი. სწორედ იმიტომ, რომ ბავშვები იასონის „საწყისს“ წარმოადგენენ, მედეა მათ სიკვდილს იასონის საბოლოო დასჯის საშუალებად მიიჩნევს: „...გაიცანი ეს ხელი, რომელმაც უკვე შური იძია შენზე ამ პატარა უმადურების სახით; ამ ხანჯალმა... ახლახან ინადირა მათს სულებზე“ (ბერძენიშვილი, 2022: 351).

ტრაგედიის ფინალი კორნელისთან სრულიად მოულოდნელია და განსხვავდება სხვა კლასიკური ვერსიებისგან. იასონი, რომელიც მთელი პიესის განმავლობაში ცინიკურად და თავდაჯერებულად მოქმედებდა, ფინალში სრულ უსუსურობას ამჟღავნებს. შვილებისა და საყვარელი ქალის დაკარგვის შემდეგ, იგი ერთადერთ გამოსავალს თვითმკვლელობაში ხედავს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის, როგორც დამარცხებული კაცის სტატუსს: „ნუ მიშლი ხელს, შევეუბრებ კრეუსას... აპატიე ჩემს ცეცხლს, თუ მე მოვდივარ სანახავად უფრო ადრე, ვიდრე შენ გინდოდა“ (ბერძენიშვილი, 2022: 354).

საბოლოო ჯამში, პიერ კორნელის „მედეამ“ სრულიად შეცვალა ევროპელი მკითხველის დამოკიდებულება ამ მითისადმი. პიესაში წამოჭრილია უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური საკითხები: პიროვნული ღირსებისა და სოციალური ვალდებულებების კონფლიქტი, შურისძიების მორალური საზღვრები და ადამიანური ვნებებისა და გონების მარადიული დაპირისპირება. მაღალი პოეტური სტილით დაწერილი ეს ნაწარმოები მედეას სახეს ანიჭებს იმ ტრაგიკულ დიდებულებას, რომელიც კლასიციზმის ეპოქის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა.

ეგზისტენციალური პროტესტი და თავისუფლების სიმბოლო (ჟან ანუი) - მეოცე საუკუნის ფრანგი დრამატურგი, ჟან ანუი, მედეას თემით 1946 წელს დაინტერესდა, იმ პერიოდში, როდესაც ევროპა ომისშემდგომ ინტელექტუალურ კრიზისს გადიოდა. ანუიმ შემოგვთავაზა უკვდავი ტრაგედიის სრულიად თავისებური ინტერპრეტაცია, სადაც კლასიკური სიუჟეტი შენარჩუნებულია, თუმცა პერსონაჟებს თანამედროვე ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური განზომილება აქვთ შეძენილი. პიესა იწერებოდა მაშინ, როდესაც საფრანგეთში ეგზისტენციალიზმისა და აბსურდის თეორიის ბუმი იყო, რამაც განაპირობა ის, რომ ანუიმ მედეა სწორედ ამ „აბსურდული სამყაროს“ მთავარ გმირად და თავისუფლების მანიფესტად აქცია.

ანუის პიესაში მედეა წარმოდგენილია როგორც „სხვა“ და „უცხო“, რაც პირველივე სცენებშივე იკვეთება. პიესა იწყება გამთენიისას, ფურგონში, სასახლისგან მოშორებით, რაც ხაზს უსვამს მედეას იზოლაციას. მიძასთან დიალოგში აშკარა ხდება კულტურული

უფსკრული მედეასა და კორინთოსს შორის. მედეას გალიზიანება სასახლის ხმაურზე სიმბოლურია — იგი ვერ ეგუება იმ წესრიგს, რომელიც მისთვის უცხოა. მიმა ცდილობს აუხსნას მას ადგილობრივი წესები, თუმცა ეს მცდელობა მხოლოდ მედეას „ველურობას“ და არქაულობას უსვამს ხაზს: „ჩვენთან დღესასწაული უფრო ადრეა... გოგონები თმას ყვავილებით ირთავენ, ხოლო ვაჟები სახეს საკუთარი სისხლით იხატავენ“ (ბერძენიშვილი, 2022: 357).

ანუისეული ინტერპრეტაციის ცენტრალური ღერძი თავისუფლების იდეაა. ავტორი გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება მტკივნეულია და მოითხოვს ყოველგვარ კომფორტზე უარის თქმას. მედეა სწორედ ამ თავისუფლების მატარებელია, რომელიც არ ცნობს კომპრომისებს. იგი ამაყად აცხადებს თავის იდენტობას მაშინაც კი, როცა სრულიად მარტოა: „მე მედეა ვარ, სულ მარტო, მიტოვებული ამ ფურგონთან... შენ მოგყვებოდი სისხლით და დანაშაულით, ახლაც დამჭირდება სისხლი და დანაშაული, რომ გამოგეთხოვო“ (ბერძენიშვილი, 2022: 365). მისი პროტესტი მიმართულია არა მხოლოდ იასონის, არამედ მთელი იმ სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც სიმშვიდეს ირჩევს სიმართლის ნაცვლად.

განსაკუთრებით საინტერესოა იასონის პერსონაჟის ტრანსფორმაცია. ანუისთან იგი გვევლინება როგორც ადამიანი, რომელმაც უღალატა თავისუფლებას კეთილდღეობისა და „მშვიდი ცხოვრების“ სანაცვლოდ. იასონი აღარ იბრძვის დიდებისთვის, იგი იბრძვის „მონობისთვის“ და სურს გახდეს ჩვეულებრივი, ყოფითი ადამიანი. მისი აღიარება ამაზრზენია მედეასთვის, რადგან იგი კომპრომისზე წასვლას ამჯობინებს: „მინდა, მორჩილი ვიყო. მინდა, რომ ამ სამყარომ შეიძინოს საბოლოოდ ფორმა... ახლა მე მინდა, გაგჩერდე, მინდა, ადამიანი გახდე“ (ბერძენიშვილი, 2022: 388). იასონის ეს სურვილი — იყოს „ნორმალური“ — არის მისი ეგზისტენციალური მარცხი.

ავტორი იასონისა და მედეას დაპირისპირებას განიხილავს როგორც ორი სამყაროს შეჯახებას: ერთ მხარეს არის მედეა, რომელიც ღმერთს ემსგავსება თავისი შეუვალობითა და მაქსიმალიზმით, მეორე მხარეს კი იასონი, რომელიც უსუსური „მაჩანჩალაა“. იასონი ხვდება, რომ მედეასთან ცხოვრება მუდმივი დამაბულობაა, რაც მას აღარ შეუძლია. მისი ლაღატი არ არის მხოლოდ სხვა ქალის არჩევა; ეს არის სიყვარულზე უარის თქმა სიმშვიდის გამო: „მარტო შენ კი არ მძულხარ, სიყვარულიც მძულს!“ (ბერძენიშვილი, 2022: 377). ეს სიტყვები ადასტურებს, რომ იასონმა სულიერი სიკვდილი აირჩია ფიზიკური კომფორტისთვის.

მედეასა და კრეონის შეხვედრა პიესაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქცენტია. მედეა ამხელს მეფეს, რომელიც სიმკაცრის მიღმა სისუსტეს მალავს. იგი მიანიშნებს, რომ მმართველი, რომელიც დათმობაზე მიდის, კარგავს თავის ძალას. კრეონი, რომელმაც მედეას ერთი ღამე აჩუქა, მწარედ ცდება, როცა ფიქრობს, რომ მედეა უსაფრთხოა: „მე მედეა ვარ, ბებერო ნიანგო!.. რაკი სისხლი გაგიცივდა... და იმდენად მოეშვი, რომ ეს ღამე მაჩუქე, ეს ძვირად დაგიჯდება!“ (ბერძენიშვილი, 2022: 374). მედეას მუქარა არ არის ცარიელი სიტყვები, ეს არის გარდაუვალი შედეგი იმისა, ვინც ვერ აფასებს მედეასეულ ვნებას.

პიესის ფინალი შთამბეჭდავი და სიმბოლურია. მედეა არა მხოლოდ კლავს ბავშვებს და წვავს სასახლეს, არამედ ამით იბრუნებს თავის პირვანდელ იდენტობას, რომელიც იასონთან ყოფნამ „დაუბინძურა“. ცეცხლის ალში გახვეული მედეა აცხადებს თავის საბოლოო გამარჯვებას: „ამიერიდან მე დავიბრუნე ჩემი კვერთხი... მე ხელახლა ვიპოვე სამშობლო და ქალწულობა, შენ რომ მომტაცე. როგორც იქნა, მედეა ვარ სამარადისოდ!“ (ბერძენიშვილი, 2022: 397). იასონის პასუხი კი — დავიწყების მცდელობა და ახალი კანონების შექმნა — მხოლოდ მის უსუსურობასა და სისტემაში ჩაკარგვას უსვამს ხაზს.

დაბოლოს, ანუი პიესას ასრულებს მიძისა და მცველის ბანალური დიალოგით ყავაზე, სარეცხსა და პურის მოსავალზე. ეს ფინალური აკორდი ყველაზე მტკივნეულია — სამყარომ ვერც კი შენიშნა გიგანტური ტრაგედია. უმრავლესობისთვის მთავარია ჰქონდეთ

„პური“ და იყვნენ მშვიდად მონობაში, ვიდრე იბრძოლონ იმ თავისუფლებისთვის, რომელსაც მედია განასახიერებს. სწორედ ამიტომ, ჟან ანუის „მედია“ იქცა ევროპული ცივილიზაციის იმ „თავისუფლების“ სიმბოლოდ, რომელიც მზადაა ყველაფერი გაიღოს ჭეშმარიტებისთვის, მაშინ როცა სამყარო რუტინულ ყოფიერებაში იძირება.

ფემინისტური რეაბილიტაცია და „სხვის“ ფენომენი (კრისტა ვოლფი) - კრისტა ვოლფის რომანი „მედია - ხმები“ წარმოადგენს მითის პოსტმოდერნისტულ და ფემინისტურ რეინტერპრეტაციას, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის მანამდე არსებულ ყველა ლიტერატურულ ტრადიციას. ვოლფი მიზნად ისახავს მედიას „გათავისუფლებას“ იმ საუკუნოვანი ცილისწამებისგან, რომელიც მას პატრიარქალურმა კულტურამ მიაწერა. ავტორი უარყოფს ევრიპიდესეულ ვერსიას, როგორც პოლიტიკურ შეკვეთას და გვთავაზობს მედიას, როგორც ჰუმანისტის, მკურნალისა და დამოუკიდებელი ქალის პორტრეტს. რომანის სტრუქტურა — თერთმეტი მონოლოგი ექვსი სხვადასხვა პერსონაჟისგან — ქმნის პოლიფონიურ გარემოს, სადაც სიმართლე მრავალშრიანია და მედიას ხმა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გულწრფელია.

ვოლფისეულ ინტერპრეტაციაში მედია არის „ლტოლვილი“ კოლხეთიდან, რომელიც კორინთოში თავს უცხოოდ გრძნობს. ეს „უცხოობის“ შეგრძნება არ არის მხოლოდ გეოგრაფიული; ეს არის კულტურული და ეთიკური უფსკრული ბარბაროსულად წოდებულ, მაგრამ სულიერად მდიდარ კოლხეთსა და ცივილიზებულად წოდებულ, მაგრამ ინტრიგებით აღსავსე კორინთოსს შორის. მედია კორინთოში ხედავს იმას, რასაც სხვები მალავენ — სისტემურ კორუფციასა და სისასტიკეს. ვოლფი ხაზს უსვამს, რომ მედიას დევნა იწყება არა მისი დანაშაულის, არამედ მისი ცოდნის გამო: „მათთვის ყველა ქალი ასეთია, ვისაც ოდნავ ჭკუა უჭრის“ (ვოლფი, 2004: 9). ეს ფრაზა ნათლად აჩვენებს, რომ მედია საშიშია პატრიარქალური მმართველობისთვის.

ავტორი რადიკალურად ცვლის მედიას წარსულსაც. კოლხეთი ვოლფთან არ არის მხოლოდ ჯადოქრების ქვეყანა; ეს არის ადგილი, სადაც მედიამ მამის — აიეტის სისასტიკე იხილა და ამის გამო დატოვა სამშობლო. მედიას კონფლიქტი აიეტთან იწყება მისი ძმის, აფსირტეს მკვლელობის გამო, რომელიც მამის ბრძანებით მოკლეს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ეს ფაქტი მედიას აქცევს სიმართლის მაძიებლად, რომელიც ვერ ეგუება ტირანიას ვერც კოლხეთში და ვერც კორინთოში. იასონი კი, ვოლფთან, სუსტი და ამბიციური კაცია, რომელსაც არ ძალუძს მედიას სულიერი სიძლიერის გაგება და მას მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის იყენებს.

რომანის ერთ-ერთი მთავარი ღერძია მედიას მიერ კორინთოს საშინელი საიდუმლოს აღმოჩენა — მეფე კრეონის უფროსი ქალიშვილის, იფინოეს მკვლელობა. მედია ხვდება, რომ კორინთოს კეთილდღეობა დამყარებულია ბავშვის მსხვერპლშეწირვაზე, რაც მას აღაშფოთებს. სწორედ ეს აღმოჩენა ხდება მისი განადგურების მიზეზი. კორინთოელი პოლიტიკოსები, აკამასის მეთაურობით, ხვდებიან, რომ მედია უნდა გაჩუმდეს. ისინი იწყებენ მიზანმიმართულ კამპანიას მის წინააღმდეგ, რათა ხალხს იგი შესძულდეს. ვოლფი გვიჩვენებს, თუ როგორ იქმნება „მტვისა და ჭორების“ კედელი, რომელიც ნელ-ნელა ახრჩობს სიმართლეს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მედიასა და კრეუსას ურთიერთობა. კორნელისგან განსხვავებით, სადაც კრეუსა ხარბი მეტოქეა, ვოლფთან იგი მყიფე, ტრავმირებული გოგონაა, რომელსაც მედია მკურნალობს. მედია ერთადერთია, ვინც კრეუსას შიშებს უგებს და ცდილობს დაეხმაროს მას იმ საშინელი მოგონებების დამღევეში, რაც იფინოეს სიკვდილს უკავშირდება. თუმცა, კორინთოს გარემო იმდენად ტოქსიკურია, რომ მედიას სიკეთე მტრობად აღიქმება. კრეუსას სიკვდილიც კი, რომელიც რეალურად ეპილეფსიური შეტევით ან შიშით არის გამოწვეული, მედიას ბოროტებად ნათლდება.

ვოლფი კატეგორიულად უარყოფს მედიას მიერ შვილების მკვლელობის ვერსიას. რომანში ბავშვებს თავად კორინთოელები ხოცავენ, რათა შური იძიონ „უცხო“ ქალზე,

რომელიც მათ წესრიგს საფრთხეს უქმნიდა. ეს არის ყველაზე მტკივნეული მომენტი მითის ტრანსფორმაციაში — მედეა, რომელიც სიცოცხლის მცველია, ხდება მსხვერპლი იმისა, რასაც თავად ვერასოდეს ჩაიდენდა. იგი ხედავს, თუ როგორ ხოცავს ბრბო მის შვილებს და ხვდება, რომ ამ საზოგადოებაში სამართალი არ არსებობს. მედეას წყველა რომანის ბოლოს მიმართულია არა იასონის, არამედ იმ უსამართლო სისტემისკენ, რომელმაც სიმართლე სიცრუით შეცვალა.

პოსტკოლონიური პერსპექტივა რომანში ვლინდება მედეას, როგორც „კოლხი ბარბაროსის“ დაპირისპირებით „ცივილიზებულ“ საბერძნეთთან. ვოლფი გვიჩვენებს, რომ ცივილიზაცია ხშირად მხოლოდ ნილაბია, რომლის მიღმაც უფრო დიდი სისასტიკე იმალება. მედეას ბარბაროსობა სინამდვილეში არის მისი ბუნებრიობა, მისი კავშირი მიწასთან და ადამიანურ გრძნობებთან, რაც კორინთოს ხელოვნური სამყაროსთვის მიუღებელია. იგი არის „The Other“ (სხვა), რომელიც ყოველთვის დამნაშავედ გამოცხადდება მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ ჰგავს უმრავლესობას.

საბოლოოდ, კრისტა ვოლფის მედეა არის რეაბილიტირებული არქეტიპი, რომელიც თანამედროვე მკითხველს აიძულებს გადახედოს ისტორიას. მედეა აღარ არის ბოროტების სიმბოლო; იგი არის პროტესტი ყველა იმ ქალის სახელით, რომელთა ხმაც ისტორიამ დაახშო. რომანის ფინალური კითხვა — „სად წავიდე?“ — არის ეგზისტენციალური მიება იმ სივრცისა, სადაც სიმართლესა და თავისუფლებას საფრთხე არ დაემუქრება. ვოლფმა მედეას დაუბრუნა ღირსება და იგი აქცია ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურ და ტრაგიკულ ფიგურად, რომელიც დროსა და საზღვრებს მიღმა აგრძელებს ბრძოლას სამართლიანობისთვის.

დასკვნა. მედეას მითის ტრანსფორმაციის კვლევა ევროპული ლიტერატურის სხვადასხვა ეტაპზე საშუალებას გვაძლევს ჩამოვაცალიბოთ რამდენიმე ფუნდამენტური დასკვნა, რომლებიც ცხადყოფს, რომ მედეას სახე არ წარმოადგენს მხოლოდ ანტიკური მემკვიდრეობის სტატიკურ ნაწილს, არამედ იგი არის ცოცხალი არქეტიპი, რომელიც ყოველი ეპოქის ინტელექტუალურ, ეთიკურ და სოციალურ გამოწვევებს პასუხობს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ლიტერატურული პარადიგმების ცვალებადობა პირდაპირ აისახა პერსონაჟის ხასიათზე: თუ პიერ კორნელის კლასიციზმში მედეას ტრაგედია რაციონალიზმისა და თვითრეფლექსიის ჭრილშია დანახული, სადაც მთავარი აქცენტი პიროვნული ღირსების დაცვაზე კეთდება, ჟან ანუისთან ეს აქცენტი გადატანილია ეგზისტენციალურ თავისუფლებაზე, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ყოფით კომპრომისებს. თავის მხრივ, კრისტა ვოლფის პოსტმოდერნისტული ხედვა გვთავაზობს მითის სრულ დეკონსტრუქციას, სადაც მედეა ხდება პოლიტიკური და გენდერული რეაბილიტაციის ობიექტი, რაც მკითხველს აიძულებს გადააფასოს ისტორიული სიმართლისა და კულტურული ნარატივების სუბიექტურობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მითის ევოლუცია დროსა და სივრცეში მჭიდროდაა დაკავშირებული იდენტობისა და „სხვის“ (The Other) ფენომენტთან, რაც ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ანალიზმა აჩვენა, რომ მედეას, როგორც „კოლხი ბარბაროსის“, ინტეგრირება ცივილიზებულ სივრცეში ხშირად ასახავს ევროპის დამოკიდებულებას განსხვავებული კულტურებისა და „უცხოების“ მიმართ. ვოლფთან ეს პროცესი პიკს აღწევს, როდესაც მედეა აღარ გვევლინება დამნაშავედ, არამედ წარმოჩნდება როგორც მსხვერპლი იმ საზოგადოებისა, რომელსაც სიმართლისა და პიროვნული დამოუკიდებლობის შიში ამოძრავებს. ეს ტრანსფორმაცია ხაზს უსვამს მითის, როგორც სოციალური სარკის ფუნქციას; კორნელის იასონის პოლიტიკური ცინიზმი, ანუის „პურისა და მშვიდობის“ მეტაფორა და ვოლფის კორინთოსული ინტრიგები — ყოველივე ეს არის ლიტერატურული პასუხი იმ გლობალურ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც ევროპული ცნობიერება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში იდგა.

საბოლოო ჯამში, მედეას სახის მრავალშრიანი ინტერპრეტაციები ადასტურებს, რომ ლიტერატურა მუდმივად ახერხებს არქაული ნარატივების გადააზრებას თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გამოსახატად. მედეა რჩება მარადიულ სიმბოლოდ, რომელიც გვაიძულებს მუდმივად გადავავსოთ ჩვენი დამოკიდებულება თავისუფლების, სამართლიანობისა და პიროვნული იდენტობის მიმართ. იგი არის გამოწვევა, რომელიც დროსა და საზღვრებს მიღმა აგრძელებს არსებობას და კვლავაც გვთავაზობს ახალ ხედვებს ადამიანური ბუნებისა და სოციალური სტრუქტურების შესაცნობად. კვლევამ აჩვენა, რომ მედეას „ხმები“ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირად ჟღერს, თუმცა მათი მთავარი გზავნილი — ინდივიდის ბრძოლა სისტემისა და უსამართლობის წინააღმდეგ — უცვლელი და მარადიულია, რაც მედეას სახეს ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ და ამოუწურავ არქეტიპად აქცევს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბერძენიშვილი, ლ. (2022). *მედეა*. ლევან ბერძენიშვილის თარგმანები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- გორდეზიანი, რ. (2009). *ბერძნული ლიტერატურა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- გორდეზიანი, რ., & ტონია, ნ. (2005). *ანტიკური ლიტერატურა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- ელიადე, მ. (2009). *მითის ასპექტები*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ევრიპიდე. (2017). *მედეა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- ვოლფი, კ. (2004). *მედეა*. გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „იბისი“.
- ნადარეიშვილი, ქ. (2008). *ქალი კლასიკურ ათენსა და ბერძნულ ტრაგედიაში*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული*. (2018). მედეას თემა მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.

REFERENCES

- berdzenishvili, l. (2022). *medea [Medea]*. Translations by Levan Berdzenishvili. Tbilisi: Publishing House „Intelekti“.
- gordeziani, r. (2009). *berdznuli lit'erat'ura [Greek Literature]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- gordeziani, r., & t'onia, n. (2005). *ant'ik'uri lit'erat'ura [Ancient Literature]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- eliade, m. (2009). *mitis asp'ekt'ebi [Aspects of Myth]*. Tbilisi: Iliia State University Publishing House.
- evrip'ide. (2017). *medea [Medea]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- volpi, k'. (2004). *medea [Medea]*. Translated from German by Maia Mirianashvili. Tbilisi: Publishing House „Ibisi“.
- nadareishvili, k. (2008). *kali k'lasik'ur atensa da berdznul t'ragediashi [Women in Classical Athens and Greek Tragedy]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- saertashoriso k'onperentsiis mokhsenebata k'rebuli [International Conference Proceedings]*. (2018). medeas tema msoplis mkhat'vrul k'ult'urashi [The Theme of Medea in the World's Artistic Culture]. Tbilisi: Publishing House „Logosi“.